

მარიამ ტაბატაძე

დაბადების თარიღი: 24/08/2006
სკოლა: კავკასიის სამართლის სკოლა
პროგრამა: სამართალი
კურსი: 3
CU ელ. ფოსტა: M_TABATADZE8@CU.EDU.GE

ჩემს შესახებ:

მე ვარ მარიამ ტაბატაძე,კავკასიის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი. კავკასიის უნივერსიტეტში ჩავაბარე 2024 წელს,მოვხვდი საქართველოს მასშტაბით TOP 501 საუკეთესო აბიტურიენტს შორის და მოვიპოვე სწავლის სრული დაფინანსება. პირველი „დიდი" პროექტი,რომელიც საკუთარი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა,იყო სისხლის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში". ეს პროექტი ლიდერული უნარების განვითარებაში დამეხმარა.

ჩემი ინტერესები მრავალმხრივია. თუმცა მათ შორის უპირველესია საერთაშორისო სამართალი. პირველ რიგში იმიტომ, რომ საერთაშორისო სამართალი საკმაოდ კომპლექსური სფეროა, იგი გავლენას ახდენს გლობალურ პროცესებზე, ქმნის მსოფლიოს პოლიტიკურ კლიმატს, უზრუნველყოფს საერთაშორისო უსაფრთხოებასა და მშვიდობას. ვფიქრობ, საერთაშორისო სამართალი არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ ანალიტიკური აზროვნებისა და ფართო ხედვის განვითარების შესაძლებლობასაც იძლევა. სწორედ ამიტომ მსურს ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავება და მომავალში ამ სფეროსთან პროფესიული საქმიანობის დაკავშირება. გარდა აკადემიური ინტერესებისა, მიყვარს წიგნების კითხვა, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიას,საზოგადოებასა და ფილოსოფიურ საკითხებს ეხება. განვითარებისთვის საუკეთესო საშუალებაა ფილმების ყურებაც.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ვარ ცნობისმოყვარე და კომუნიკაბელური ადამიანი. ჩემთვის სასიამოვნოა განსხვავებული კულტურის მქონე სტუდენტებთან ურთიერთობა. ამიტომაც მსურს ჩემი უნარები გამოვიყენო იმისთვის,რომ უცხოელი სტუდენტებისათვის შევქმნა მეგობრული გარემო, რათა მათ თავი ისე იგრძნონ, როგორც საკუთარ სახლში.